

მდინარე არაგვის წყლის რესურსების შეფასება და გამოყენება

რევაზი ციყელაშვილი

ელ.ფოსტა: revazi.tsikelashvili@ens.tsu.edu.ge;

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

წყლის რესურსების შეფასება და რაციონალური გამოყენება თანამედროვე ცივილიზაციის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა, ვინაიდან მზარდი ანტროპოგენური დატვირთვების ფონზე განუწყვეტლივ იზრდება წყლის ობიექტებზე ზემოქმედების ფორმები და მასშტაბები. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია მდინარე არაგვი და მისი აუზი. მდინარის წყლის გამოყენება ხდება კომპლექსური დანიშნულებით: ენერგეტიკის, რეკრეაციის, ირიგაციის სასმელი წყალმომარაგების და ა.შ. ამიტომ მისი ჩამონადენის რეჟიმული ელემენტების შეფასება და გამოყენების საკვანძო საკითხების კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ასევე მნიშვნელოვანია მდინარე არაგვის აუზში მცირე ჰიდროენერგეტიკის განვითარება, რაც მთიანი ლანდშაფტის პირობებში, ეკოლოგიური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე გამართლებული ღონისძიებაა მთის მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების საქმეში. და აუზის ყველა მცირე მდინარის ენერგეტიკული პოტენციალის შეფასება ასევე აქტუალური ამოცანაა.

მდინარე არაგვის ჩამონადენის რეჟიმის, წყალსამეურნეო ბალანსის, ჟინვალის ჰიდროკომპლექსის თანამედროვე მდგომარეობის კვლევა დაფუძნებულია მდინარეების დონეებსა და ხარჯებზე არსებულ დაკვირვების საკადასტრო მონაცემებზე და ამ მონაცემების დამუშავების საფუძველზე მიღებულ შედეგებზე. მიუხედავად იმისა რომ არაგვის აუზში არსებული წყალი როგორც რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით საკმარისია წყალსამეურნეო ამცანების გადასაწყვეტად, აუცილებელია წყლის რესურსების მკაცრი კონტროლი მისი კიდევ უფრო ოპტიმალური განაწილების და მართვის მიზნით.